საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

№ 01-05/187 "22" 02 2016

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2016 წლის 8 თებერვლის N33 წერილის პასუხად, გაცნობებთ რომ საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მონაცემთა ელექტრონული ბაზა განთავსებულია საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.sakpatenti.org.ge და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის. აღნიშნულ ბაზაში ასახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია. მონაცემთა ბაზაში შესაძლებელია ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერ ობიექტზე ძიების განხორციელება და მომხმარებლისთვის საჭირო ინფორმაციის მიღება. ასევე, საქპატენტის აღნიშნულ ვებგვერდზე რეგულარულად თავსდება საქპატენტის ოფიციალური ბიულეტენები, რომლებშიც აისახება საქპატენტში დარეგისტრირებული ობიექტების შესახებ ინფორმაცია.

რაც შეეხება, საქპატენტის მონაცემთა ბაზის ღია მონაცემთა პორტალზე, data.gov.ge-ზე განთავსებას, გაცნობებთ, რომ საქპატენტი გამოთქვამს მზადყოფნას ითანამშრომლოს „(OGP) ღია მმართველობის პარტნიორობა"-სთან ბაზების აღნიშნულ პორტალზე განთავსებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ფაქსი: (+995 32) 2252531
0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4; ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge